# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 91

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 2 აპრილი 2019 წელი

## 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთისმხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი", მისი დირექტორის ვიტალი ბერაიას სახით შემდეგში „შემსყიდველი", და მეორეს მხრივ, შპს ,,ორგსერვისი"-ის დირექტორის ხვიჩა ნემსაძე სახით შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

შემდეგზე: ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის განსაზღვრუს შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად ,,შემსყიდველი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი" განახორციელებს დანართში (დანართი N1) მითითებული საქონელის (შემდეგში ,,საქონელი") მოწოდებას.

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

**2.1 შესყიდვის კატეგორია - 391 00000 - ავეჯი**

**2.2 კლასიფიკატორის (CPV) კოდები - 39112000- სკამები**
**391 13100 სავარძლები**

2.3 შესყიდვის ობიექტის კონკრეტული დასახელება მოცემულია ხელშეკრულების დანართში (იხ.დანართი N1)

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 შესასყიდი საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 2 აპრილიდან 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

3.2 შესასყიდი საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა).

## 4. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, 2019 წლის 2 აპრილიდან და მოქმედებს 2019 წლის 8 მაისის ჩათვლით.

4.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას მისი საჭიროებიდან გამომდინარე 5 სამუშაო დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 542 (ხუთასორმოცდაორი) ლარი დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

## 6. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

6.3 ანგარიშსწორება განხორცილედება ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის მოწოდების შემდგომ.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მიმწოდებელი მის მიერ ფაქტიური გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად და წარუდგენს შემსყიდველს.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტების დადასტურება, ან ხარვეზის არსებობის შემთხვევაში პრეტენზიის გამოთქმა და შესაბამისი კორექტირების მოთხოვნა განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.6 ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქონლის დროულ და ჯეროვან მიწოდებაზე.

7.2 შემსყიდველის მიერ აღნიშნული ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციიის იურისტი მაკა მაქაცარია და მთავარი ბუღალტერი ლია ჭანტურია.

7.3 შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ხარისხზე და საქონლის დროულ მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს სამეურნეო საკითხებში გენადი კაჭარავას.

7.4 მხარეები პასუხისმგებელნი არიან ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულ და ხარისხიან შეარულებაზე.

## 8. დავებისა და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოლაპარაკების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა საერთო სასამართლოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. ხელშკერულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი-მიმწოდებელთან, ერთი-

შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა დაკავშირებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.2 ხელშკერულებაში ნებისმიერი ცლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებისა და წერილობითი ფორმით დადასტურების საფუძველზე.

10.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.4 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია:

- ამავე ხელშკრულების 4.3 პუნქტის საფუძველზე;
- ერთ ერთი მხარის მიერ ხელშკერულების პირობების დარღვევის შემთხვევაში;
- მხარეთა შეთანხმებით;
- კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

## 7. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი” | „მიმწოდებელი” |
|---|---|
| ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ -ის<br>დირექტორი | შპს „ორგსერვისი“-ის<br>დირექტორი |
| ---------- ვიტალი ბერაია | ---------- ხვიჩა ნემსაძე |
| Poti Municipality Service Center<br>Digitally signed by Poti Municipality Service Center<br>Date: 2019.04.02 15:24:06 +04'00' | |
| მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N12<br>ს/კ 415101507<br>სახელმწიფოხაზინა<br>სახაზინო კოდი 750327499<br>ბ/კ TRESGE22<br>ა/ნ GE24NB0330100200165022 | **მის:** ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის N51/2ა<br>ს/კ: 212 693 851<br>მომსახურე ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“<br>ბ/კ: MIBGGE22<br>ანგარიშის ნომ: GE28PC0133600100067722 |

დანართი N1

ქ. ფოთი 1 აპრილი 2019 წელი

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდ. | ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | საოფისე სკამი BL 737 | ცალი | 1 | 150 |
| 2 | საოფისე სკამი BL 702 | ცალი | 8 | 392 |
| | სულ: | | | 542 |

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ -ის დირექტორი

---------- ვიტალი ბერაია

Poti Municipality Service Center

Digitally signed by Poti Municipality Service Center
Date: 2019.04.02 15:24:28 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „ორგსერვისი“-ის დირექტორი

---------- ხვიჩა ნემსაძე